

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
Zakaria Paliashvili Tbilisi State Opera and Ballet Theatre

KSB

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოპერის მეგობართა საბჭოს“ მხარდაჭერით
Supported by “Opera Friends’ Council”

# ხატია ბუნიათიშვილი
# Khatia Buniatishvili

ფორტეპიანო
Piano

დირიჟორი
Conductor

## ჯანლუკა მარჩიანო
## Gianluca Marciano

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო
თეატრის სიმფონიური ორკესტრი
The Symphony Orchestra of Tbilisi State Opera and Ballet Theatre

"Khatia is a young pianist of extraordinary talent. I was impressed by her exceptional pianistic gift, natural musicality, imagination and her brilliant virtuosity"

*Martha Argerich*



"ხატია ექსტრაორდინალური ტალანტის მქონე პიანისტია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა განსაკუთრებულმა პიანისტურმა ნიჭმა, ბუნებრივმა მუსიკალურობამ, წარმოსახვის უნარმა და ბრწყინვალე ვირტუოზულობამ"

*მარტა არგერიხი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხატია ბუნიათიშვილი

# Khatia Buniatishvili

ხატია ბუნიათიშვილი დაიბადა 1987 წლის 21 ივნისს თბილისში. მისმა ნიჭიერებამ იმთავითვე იჩინა თავი და 6 წლის ასაკში შედგა ხატიას დებიუტი სიმფონიური მუსიკის კონცერტზე. ადრეულ ასაკში დაიწყო ხატიას საერთაშორისო კარიერაც. მას გამართული აქვს კონცერტები შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, იტალიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, საბერძნეთში, ჩეხეთში, ლატვიაში, რუსეთში, ისრაელში, ა.შ.შ-ში, ავსტრალიაში, იაპონიასა და ჩინეთში.

2003 წელს ხატია ბუნიათიშვილმა ელისაბედ ლეონსკაიას სტიპენდიის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსზე დაიმსახურა პირველი პრემია. იმავე წელს თბილისის საფორტეპიანო კონკურსზე, სადაც მეორე პრემია და სპეციალური პრიზები მოიპოვა, ხატია მოისმინა ოლეგ მეისენბერგმა, რომლის რჩევითაც მან სწავლა გააგრძელა ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების აკადემიაში. 2008 წელს, არტურ რუბინშტეინის სახელობის XII კონკურსზე მან მოიპოვა მესამე პრემია და დასახელდა შოპენის ნაწარმოების საუკეთესო შემსრულებლად და მსმენელის სიმპათიად.

მას შემდეგ ხატია ბუნიათიშვილი მრავალი პრესტიჟული ფესტივალის ხშირი შემოქმედებითი სტუმარია, მათ შორისაა, ვერბიეს, მარტა არგერიხის, გსტაადის, ლა როკ დ'ანთერონის, რურის, ლუცერნის, სარატოგას ფესტივალები, გიდონ კრემერის სახელობის კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ლოკენჰაუსში.

იგი თანამშრომლობს ისეთ ორკესტრებთან როგორებიცაა ისრაელის ფილარმონიული, პარიზის ორკესტრი, სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიული, ფილადელფიის სიმფონიური, BBC სიმფონიური, NDR (ჩრდილოეთ-გერმანიის რადიომაუწყებლობის) ჰამბურგის სიმფონიური, როტერდამის ფილარმონიული, ბრემენის დოიჩე-კამერფილარმონიული, ფრანკფურტის რადიოს, ვერბიეს სიმფონიური ორკესტრები.

2008 წელს შედგა პიანისტის დებიუტი კარნეგი ჰოლში (ზანკელის დარბაზი) შოპენის მეორე საფორტეპიანო კონცერტით. 2009 წელს ხატიამ დაუკრა მენდელსონის ორმაგი კონცერტი გიდონ კრემერთან ერთად ვენის მუსიკალურ ასოციაციაში, მალე გიდონ კრემერთან და მის „კრემერატა ბალტიკასთან" ერთად გასტროლები გამართა მილანში (ლა სკალა), რომში, პავიასა და სტამბულში. 2011 წელს ხატიამ გამართა კონცერტები ფრანკფურტის რადიოს ორკესტრთან (გასტროლებით გერმანიასა და ავსტრიაში), მიუნხენის ფილარმონიულ ორკესტრთან, ვერბიეს საფესტივალო ორკესტრთან ნეემე იერვის დირიჟორობით, პარიზის ორკესტრთან პაავო იერვის დირიჟორობით, შანხაის სიმფონიურ ორკესტრთან საახალწლო კონცერტები მიხეილ პლეტნიოვის დირიჟორობით (რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცა ჩინეთის წამყვან ტელეარხებზე).

ხატია ბუნიათიშვილს დაგეგმილი აქვს გამოსვლები სან-ფრანცისკოს სიმფონიურ ორკესტრთან ჯააპ ვან ზვედენის დირიჟორობით, ვენის სიმფონიურ და რადიოს სიმფონიურ ორკესტრებთან, მიუნხენის ფილარმონიულ და ფრანკფურტის რადიოს სიმფონიურ ორკესტრებთან პაავო იარვის დირიჟორობით, ევროპის ახალგაზრდულ ორკესტრთან ვლადიმერ აშკენაზის დირიჟორობით და სხვა. ხატიას სოლო და კამერული კონცერტები გამართული სხვადასხვა პრესტიჟულ დარბაზებში, მათ შორის, ლონდონის უიგმორ-ჰოლში, ბერლინის ფილარმონიაში, ამსტერდამის კონცერტგებაუში, ვენის მუსიკალური ასოციაციისა და კონცერტჰაუზის, პარიზის პლეიელის დარბაზში, მუსიკალური აუდიტორიისა და კრიტიკის დიდ ინტერესს და აღფრთოვანებას იმსახურებს.

ხატია ბუნიათიშვილში მრავალი მუსიკოსი და ჟურნალისტი ხედავს მომავლის ერთ-ერთ უდიდეს პიანისტს. BBC-ის მიერ ხატია დასახელებულია ახალი თაობის არტისტად. პიანისტი რეგულარულად თანამშრომლობს BBC-ის ორკესტრებთან. 2010 წელს მან მიიღო ბორლეტი-ბუიტონის ნდობის ჯილდო და იმავე წელს მოაწერა ხელი ექსკლუზიურ კონტრაქტს „სონისთან", სადაც მისი შესრულებით ჩაიწერა ფერენც ლისტის თხზულებები. აღსანიშნავია, რომ ამ დისკმა გაიმარჯვა ნომინაციაში და გახდა 2011 წლის "Choc Classica". ღირსშესანიშნავი ფაქტია, რომ ECHO-ს ნომინაციაში ვენის კონცერტჰაუსმა ხატია ბუნიათიშვილი ამომავალ ვარსკვლავად დაასახელა.

Khatia Buniatishvili was born on 21 June 1987 in Tbilisi. Her talent was recognized at an early age and she made her debut at a concert of symphony music at the age of six. Khatia's international career started early, too. She has made concerts in Switzerland, the Netherlands, France, Germany, Belgium, Italy, Austria, the UK, Spain, Greece, Czech Republic, Latvia, Russia, Israel, the USA, Australia, Japan and China.

In 2003 Khatia Buniatishvili won the first prize of the Elizabeth Leonskaya Scholarship. In the same year, at the 2003 Piano Competition in Tbilisi, she won second prize and special prizes. Oleg Maisenberg listened to Khatia's performace in Tbilisi and he convinced her to continue her studies in Vienna Academy for Music and Performing Arts. At the 12th Arthur Rubinstein Competition in 2008, she won the third prize and was distinguished as the Best Performer of a Chopin Piece and the Audience Favourite.

Since then Khatia Buniatishvili is the frequent creative participant of many prestigious festivals including Verbier Festival, Progetto Martha Argerich, Gstaad Festival, La Roque d'Anthéron Festival, Ruhr Festival, Lucerne Festival, Saratoga Festival, and Gidon Kremer's Internationales Kammermusikfest Lockenhaus.

She performed with such orchestras as the Israel Philharmonic, the Orchestre de Paris, the St Petersburg Philharmonic Orchestra, the Philhadelphia Symphony Orchestra, BBC Symphony Orchestra, The NDR Hamburg Symphony Orchestra, the Rotterdam Philharmonic and the Deutsche Kammerphilharmonie Bremen, The Frankfurt Radio Symphony Orchestra and Verbier Symphony Orchestra.

In 2008 she made her US performing debut at Carnegie Hall (Zankel Hall) with the Chopin Piano Concerto No 2. In 2009 she performed the Mendelssohn Double Concerto with Gidon Kremer at the Musikverein Vienna and toured with him and the Kremerata Baltica to Milan (La Scala), Rome, Pavia and Istanbul. In 2011 Khatia performed at concerts with the Francfort Radio Symphony Orchestra (tours in Germany and Austria), the Munich Philharmonic, the Verbier Festival Orchestra under Neeme Järvi, and the Orchestre de Paris with Paavo Järvi, and New Year concerts with Shanghai Symphony Orchestra with Pletnev conducting (cast in direct air to the leading TV channels of China).

Khatia Buniatishvili has planned performances with the San Francisco Symphony Orchestra with Jaap van Zweden, with Vienna Symphony and Radio Symphony orchestras, with Munich Philharmonic and Frankfurter Radio Symphony orchestras with Paavo Järvi, with the European Union Youth Orchestra with Vladimir Ashkenazi, etc. Khatia's solo recitals and chamber music concerts in halls including the Wigmore Hall in London, Berlin Philharmonie, Concertgebouw Amsterdam, Musikverein Vienna and Vienna Konzerthaus, Salle Pleyel of Paris, win great interest and ravishment of both musical audience and critics.

Many musicians and journalists see Khatia Buniatishvili as one of the great pianists of the future. She is nominated as a BBC New Generation Artist. The pianist regularly collaborates with the BBC orchestras. She received a Borletti-Buitoni Trust Award 2010 and in the same year she signed an exclusive contract with Sony. In this series she has already recorded Franz Liszt. It is remarkable that this disc has been winner in nomination and became "Choc Classica" of 2011. It is also worth mentioning that Khatia Buniatishvili was nominated as an ECHO Rising Star by the Wiener Konzerthaus and the Musikverein Wien.

# ჯანლუკა მარჩიანო

# Gianluca Marciano

ჯანლუკა მარჩიანო დაიბადა იტალიაში, ლა სპეზიაში. სწავლობდა საფორტეპიანო ფაკულტეტზე ფლორენციის მუსიკალურ აკადემიაში, დაამთავრა პიზას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი. მისი პედაგოგები იყვნენ ჯოაკინ აშუკარო, პაოლო რესტანი, თანამედროვე მუსიკას სწავლობდა მასიმილიანო დამერინის ხელმძღვანელობით. მარჩიანო ეროვნული და საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსების ლაურეატია, მისი საკონცერტო დებიუტი 10 წლის ასაკში შედგა.

მუსიკალური დირექტორის ამპლუაში იგი ხშირად ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის, პარმის თეატრში ვერდის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებას 2001 წელს და საერთაშორისო კონკურსს Beato Pio IX რომში. მას ხშირად იწვევენ ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსებზე ჟიურის წევრად.

2002 წელს იგი მიიწვიეს ლიუბლიანას ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც მუშაობდა ლორის ვოლტოლინის ასისტენტად, ხოლო დიტერ როსბერგის ასისტენტად გუნოს „ფაუსტისა" და ოფენბახის „რაინის ალების" მსოფლიო პრემიერის მზადებისას. 2006-2007 წლების სეზონზე ჯანლუკა მარჩიანომ ზაგრების თეატრში იდირიჟორა „ნაბუქო" და „სევილიელი დალაქი" რეპეტიციის გარეშე, რის შემდეგ იგი დაინიშნა სამხატვრო ხელმძღვანელად და 2008-09 წლებში თეატრის მთავარი დირიჟორიც გახდა.

მიწვეული დირიჟორის ამპლუაში იგი თანამშრომლობს სლოვაკელი სოლისტების კამერულ ორკესტრთან KOS, რუმინეთის ჯორჯ ენესკუს ფილარმონიულ ორკესტრთან, ინგლისის კამერულ ორკესტრთან, ლიბანის ფილარმონიულ ორკესტრთან, Orchestra Sinfonica di Grosseto, პეკინის სიმფონიურ ორკესტრთან, სარაევოს ფილარმონიულ და ბანჯალუკას ფილარმონიულ ორკესტრებთან და სხვ.

ჯანლუკა მარჩიანო თანამშრომლობს ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან: პაოლეტა მაროკუ, დონატა დანუნციო ლომბარდი, ნინო სურგულაძე, ალექსანდრ აგაჩე, ზორან ტოდოროვიჩი, ეგლისე გუტიერესი, თამარ ივერი, ინვა მულა, ირინა ლუნგუ, ელისაბეტა ფიორილო, ერმონელა იაჰო, დარიო შმუნკი, ზელჩკო ლუჩიკ და სხვები.

2007 წელს სარდინიის ქალაქ სასარის ვერდის თეატრში მაესტროს ხელმძღვანელობით გაიმართა დებიუსის ადრეული კანტატის „რჩეული ქალწულის" და პულენკის ოპერა-ბუფას „ტირეზიას მკერდის" იტალიური პრემიერები. 2007-08 წლებში ზაგრებში იდირიჟორა „ნაბუქო", 2008 წელს კი მარჩიანოს დირიჟორობით პეკინის ფინანსურ ცენტრში ადგილობრივ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საზეიმო გალა-კონცერტი გამართა საქვეყნოდ აღიარებულმა მომღერალმა ანდრეა ბოჩელიმ.

მარჩიანომ ინგლისში ლონგბოროს ფესტივალზე იდირიჟორა „ტრავიატა", შემდეგ „ტურანდოტი", „კარმენი", „კონკია" ზაგრებში, „სასინჯი ქვა" – ვერდის თეატრში სასარიში, „ტოსკა" გრეინჯ პარკ ოპერისთვის, „ფავორიტი ქალი" და „ტრავიატა" კი იდირიჟორა ჩელსის საოპერო ჯგუფთან ერთად ლონდონში. მისი დირიჟორობით „ფიგაროს ქორწინება" და „დონ ჯოვანი" მოისმინეს ლონგბოროს ფესტივალზე (სადაც იგი დაბრუნდა 2011 წელს ლიბრეტისტ ლორენცო და პონტეს ციკლის ბოლო ოპერის – „ასე იქცევა ყველა ქალის" სადირიჟოროდ). ამავე წელს იდირიჟორა „ტრავიატა" და „სევილიელი დალაქი" მინსკში.

მაესტროს უახლოესი გეგმები უკავშირდება კვლავ ლონგბოროს ფესტივალს, სადაც იდირიჟორებს „ჯადოსნურ ფლეიტას", გრეინჯ პარკის ფესტივალზე იდირიჟორებს „მადამ ბატერფლაის", „პურიტანებს", აგრეთვე „ტოსკას" 2012 წლის ივნისში, ხოლო „ტურანდოტს" იდირიჟორებს 2012 წლის ნოემბერში ოვიედოს თეატრში.

ჯანლუკა მარჩიანო არის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, ასევე ბეირუთის ალ ბუსტანის ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი.



Born in La Spezia in Italy, Gianluca studied piano at the Music Academy of Florence and graduated in Political Sciences at Pisa State University. He studied also with Joaquin Achúcarro and Paolo Restani, as well as Massimiliano Damerini for contemporary music. He won several national and International competitions, making his recital debut at just ten.

As a coach and head of music staff he worked in many of the most important Italian venues, like the Teatro Regio di Parma during Verdi's Anniversary in 2001 and International Competition Beato Pio IX in Rome. He has been a jury member in several International singing competitions.

In 2002 he was the assistant of M. Loris Voltolini in Ljubljana Opera House, as well as assisting M. Dieter Rossberg on Gounod's Faust and Offenbach's Die Rheinnixen. During the 2006-07 season he stepped in at short notice to Opera Zagreb to conduct performances of Nabucco and Il Barbiere di Siviglia, without any rehearsal. He was appointed Artistic Leader and during 2008-09 was Opera Zagreb's main conductor.

Gianluca is a guest conductor of the Chamber Orchestra of Slovenian Soloists KOS, George Enescu Philharmonic, English Chamber Orchestra, Lebanese Philharmonic Orchestra, Orchestra Sinfonica di Grosseto, Beijing Symphony Orchestra, Sarajevo Philharmonic, Banjaluka Philharmonic.

He has conducted such Internationally renowned singers as Paoletta Marrocu, Donata D'Annunzio Lombardi, Nino Surguladze, Alexandru Agache, Zoran Todorovich, Eglise Gutierrez, Tamar Iveri, Inva Mula, Irina Lungu, Elisabetta Fiorillo, Ermonela Jaho, Dario Schmunck, Zeljko Lucic.

In November 2007 Gianluca made his Italian operatic conducting debut at Teatro Verdi in Sassari with the Italian premiere of Debussy's La Damoiselle Elue and Poulenc's Les Mamelles de Tiresias. Later in the 2007-08 season he conducted Nabucco in Zagreb, a concert in Beijing with Andrea Bocelli and the Beijing Symphony Orchestra and his UK operatic debut with La Traviata at Longborough Festival Opera.

Since then he has conducted Turandot, Carmen and La Cenerentola in Zagreb, La Pietra del Paragone at the Teatro Verdi in Sassari, Tosca for Grange Park Opera, La Favorite and La Traviata with Chelsea Opera Group in London, Le Nozze di Figaro and Don Giovanni at the Longborough Festival, where he returned in 2011 to complete the Da Ponte cycle with Cosi fan Tutte. He has also been conducting La Traviata and Il Barbiere di Siviglia in Minsk.

Gianluca's current projects include returns to the Longborough Festival to conduct Magic Flute in June 2012, to the Grange Park Festival to conduct Madama Butterfly, I Puritani and further performances of Tosca in June 2012, as well as Turandot in Oviedo in November 2012.

Gianluca is now musical director and principal conductor of the Tbilisi Opera House and music director of the Al Bustan Festival in Beirut.



## თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი
## The Symphony Orchestra of Tbilisi State Opera and Ballet Theatre

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა აშენდა 1851 წელს, როგორც საიმპერატორო თეატრი, თუმცა, მისი დასის შემოქმედებითი ცხოვრება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. პირველ პროფესიულ სიმფონიურ ორკესტრს სათავეში ჩაუდგა იმ პერიოდისთვის მსოფლიოში აღიარებული იტალიელი მევიოლინე და დირიჟორი ანტონიო ბარბიერი, რომელმაც ორკესტრი იტალიელი შემსრულებლებისგან დააკომპლექტა და იმავე სეზონში 12 ევროპული ოპერა დადგა; ბარბიერის შთამომავლები დღესაც მოღვაწეობენ თეატრში.

1860 წლიდან თეატრის ორკესტრი დამოუკიდებელ საკონცერტო ცხოვრებასაც იწყებს და მართავს სიმფონიური მუსიკის კონცერტებს ცნობილი დირიჟორების შენინგის და კატანის დირიჟორობით.

ორკესტრთან ერთად სცენაზე წარსდგნენ უდიდესი შემსრულებლები, მათ შორის ჯუზეპე ვერდის მეუღლე ჯუზეპინა სტრეპონი, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ბანი ფიოდორ შალიაპინი, ბრწყინვალე პიანისტი, თბილისის კონსერვატორიის დამაარსებელი არტურ რუბინშტეინი, რუსი კომპოზიტორი და ვირტუოზი პიანისტი სერგეი რახმანინოვი, გენიალური რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი. ორკესტრით და თეატრის დასით აღფრთოვანებული პეტრე ჩაიკოვსკი ხუთჯერ ეწვია საქართველოს (1886-1890). ანტონინ დვორჟაკის მეცხრე სიმფონია, მისი კარნეგი ჰოლში მსოფლიო პრემიერის შემდეგ პირველად სწორედ თბილისში შესრულდა.

n 13/1667

ორკესტრი სპექტაკლებში მონაწილეობდა გასტროლებზე ჩამოსულ დასებთან ერთად: პეტერბურგის საბალეტო დასი (1852), იტალიური საოპერო დასები (1897-1898, 1910), ვენის საიმპერატორო ოპერეტა (1903), მოსკოვისა და პეტერბურგის კომიკური ოპერები (1907), პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტი (1907, 1908, 1913).

XX საუკუნეში ორკესტრს სხვადასხვა დროს დირიჟორობდნენ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები – ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი, გივი აზმაიფარაშვილი, ჯანსუღ კახიძე...

თანამედროვე დროში, ბოლო 7 წლის მანძილზე ორკესტრთან ერთად წარსდგნენ მსოფლიოში აღიარებული შემსრულებლები – პლასიდო დომინგო, ფერუჩო ფურლანეტო, ხოსე კარერასი, მიშელ კრაიდერი, დოლორა ზაჯიკი, მონსერატ კაბალიე, დიმიტრი ხვოროსტოვსკი, ანდრეა ბოჩელი, პაატა ბურჭულაძე, ბადრი მაისურაძე, ლადო ათანელი, იანო თამარ ალიბეგაშვილი, თამარ ივერი, ეთერ ლამორისი, ნინო სურგულაძე, ნინო მაჩაიძე, ანიტა რაჭველიშვილი, ალექსანდრე კოსრანტია, ლექსო თორაძე, ეთერ ანჯაფარიძე, ელისო ბოლქვაძე; ორკესტრს წარუძღვნენ ცნობილი დირიჟორები – შუია ოკაცუ, დან ეტინგერი, არვო ვოლმერი, მანლიო ბენცი, ხოსე კოლადო, იუჯინ კონი, საშა გიოცელი, ფილიპ მანი, დიმიტრი იუროვსკი, ფარხადინ კერიმოვი და სხვ.

ორკესტრს გამართული აქვს წარმატებული გასტროლები უნგრეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ისრაელში, მალტაში, ესპანეთში, ლიბანში. უდიდესი წარმატება ხვდა ორკესტრს და მთლიანად დასს შვედეთის პრესტიჟულ საოპერო მუსიკის ფესტივალზე.

თეატრის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსების მაღალი შემოქმედებით პროფესიული დონის გათვალისწინებით ამ ორკესტრის ბაზაზე 2005 წელს შეიქმნა კამერული ორკესტრი, რომელიც რეგულარულად მართავს კონცერტებს საქართველოში და საზღვარგარეთაც.

The building of Tbilisi State Opera and Ballet Theatre was built in 1851 as an Empire Theatre, though the creative life of its group had begun several years earlier. The first professional symphony orchestra was guided by Antonio Barbieri, in those times, the globally recognized Italian violinist and conductor, who has staffed the orchestra with Italian performers and staged 12 European operas in the same season; Barbieri's progeny work for the theatre up till the present day.

Since 1860 the orchestra of the theatre begins its independent life and organizes concerts of symphony music with famous conductors as Shening and Catani.

Together with the orchestra greatest performers have seen the Tbilisian scene, amongst these, Giuseppe Verdi's spouse, Giuseppina Streponi, as well as Fyodor Chaliapin, one of the greatest basses of all times, Arthur Rubinstein, the brilliant pianist and founder to Tbilisi Conservatoire, Sergei Rachmaninoff, Russian composer and virtuoso pianist, and Pyotr Ilyich Tchaikovsky, the genial Russian composer. Pyotr Tchaikovsky, ravished by the orchestra and group of the theatre, has visited Georgia five times (in 1886-1890). Antonin Dvorzhak's ninth symphony, so widely recognized in America, which gained the global fame after its performance in Carnegie Hall, was performed for the first time exactly here in Tbilisi.

The orchestra took part in spectacles abreast with other groups touring in Tbilisi, such as: St. Petersburg Ballet Group (1852), Italian opera groups (1897-1898, 1910), Vienna Empire Operetta (1903), Moscow and St. Petersburg Comic Operas (1907), St. Petersburg Empire Ballet (1907, 1908, 1913).

In the XX century the orchestra was conducted by famous Georgian musicians: Eugene Mikeladze, Odissey Dimitriadi, Givi Azmaiparashvili, Jansug Kakhidze.

In modern times, during last 7 years, the globally famous performers have appeared on stage together with the Orchestra, namely: Plácido Domingo, Ferruccio Furlanetto, José Carreras, Michèle Crider, Dolora Zajik, Montserrat Caballé, Dimitri Khvorostovski, Andrea Bocelli, Paata Burchuladze, Badri Maisuradze, Lado Ataneli, Iano Tamar Alibegashvili, Tamar Iveri, Eteri Lamoris, Nino Surguladze, Eteri Anjaparidze, Elisso Bolkvedze. The Orchestra had been led by famous conductors: Shuia Okatsu, Dan Ettinger, Arvo Volmer, Manlio Benz, Jose Collado, Eugene Con, Sasha Goetzel, Dmitri Yurovski, Fahraddin Kerimov, etc.

The Orchestra has made successful tours to Hungary, Germany, France, Israel, Malta, Spain, Lebanon. The Orchestra along with the whole group have gained exceptional success at a prestigious festival of opera music in Sweden.

Taking into account the high creative and professional level of the musicians of Symphony Orchestra of the Theatre, there was formed the chamber orchestra in 2005 on the basis of the above-mentioned orchestra, which regularly holds concerts both in Georgia and abroad.

### პროგრამაშია:

**ჰექტორ ბერლიოზი – „ფანტასტიკური“ სიმფონია**

**მორის რაველი – კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, G Dur**

### Program:

**Hector Berlioz – Symphonie Fantastique**

**Maurice Ravel – Piano Concerto, G Dur**

PX 426/2

www.opera.ge

Geocell
SILKNET
MARIGOLD
INFO-TBILISI
BGI LEGAL